# სამუშაოს შესყიდვის ხელშეკრულება №1/2

ნინოწმინდა სოფ. დიდი არაქალი 01 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი არაქალის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვანიკ ზურნადჟიანის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ლიუდვიგ ღარსლიანი (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიუდვიგ ღარსლიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შენობის დასრულების სამუშაოს შესყიდვა (CPV:-45400000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში (ხარჯთარიცხვა), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 4995.43 (ოთხი ათას ცხრას ოთხმოცდათხუთმეტი და 43 თეთრი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

## მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ნინოწმინდა , სოფელი დიდი არაქალი.

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

## მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. კერძოდ:

- დანართ №1-ში (ხარჯთარიცხვა) გათვალისწინებული სამშაოები ;

დ) დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ნორმები;

ე) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი ნარჩენი მასალებისაგან.

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ–წინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი არაქალის საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია**

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 9. ფორსმაჟორი**

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 13. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

**მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი არაქალის საჯარო სკოლა<br>ს/ნ 236689071<br>სს „ლიბერთი ბანკი" ნინოწმინდის ფილიალი<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა GE32LB0121115200828000<br>მისამართი: ქალაქ ნინოწმინდა, სოფელი დიდი არაქალი | ი/მ–ლიუდვიგ ღარსლიან<br>ს/კ–32001025339<br>მის.:ქ.ნინოწმინდა, იუ.გაგარინის ქ. N8<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი"<br>ბანკის კოდი LBRTGE22<br>ა/ა -GE70LB0112118558805000 |
| **დირექტორი: ვანიკ ზურნაჯიან**<br>(ხელმოწერა) ბ.ა | **დირექტორი: ლიუდვიგ ღარსლიან**<br>(ხელმოწერა) |

დანართი №1

# ლოკალური ხარჯთაღრიცხვა

## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი დიდი არაქიალის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია

| № | აღწერილობა | განზ. | რაოდ. | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| | I. კლასის რემონტი | | | | | | | | | |
| 1 | კედლების კარკასის მოწყობა (თ\მუყაოს პროფილის კნაუფის 3 მეტრი, სისქით 0,5 მმ) | კვ/მეტრი | 25.80 | 7.00 | 180.60 | 5.00 | 129.00 | 0.50 | 12.90 | 322.50 |
| 2 | ალუფომი "ა2-ა8" თბო, ხმის იზოლიაცია პოლიეთილენის ორი მხრიდან მოწყობა | კვ/მეტრი | 25.80 | 12.00 | 309.60 | 2.00 | 51.60 | 0.50 | 12.90 | 374.10 |
| 3 | კედლების ორმხრის თაბაშირ-მუყაოს ფილის სისქით 12,5 მმ 1,2\2,5 მ | კვ/მეტრი | 25.80 | 11.00 | 283.80 | 3.00 | 77.40 | 0.50 | 12.90 | 374.10 |
| 4 | შიდა კედლების და ჭერების შეფითხვნა 2 ჯერ გრუნტოვკით. | კვ/მეტრი | 137.34 | 1.70 | 233.48 | 2.50 | 343.35 | 0.50 | 68.67 | 645.50 |
| 5 | კედლების და ჭერების შემზადება შეღებვისთვის | კვ/მეტრი | 137.34 | 0.10 | 13.73 | 1.00 | 137.34 | 0.00 | 0.00 | 151.07 |
| 6 | კედლების და ჭერების შეღებვა წყალემულსიის საღებავით ორჯერ | კვ/მეტრი | 137.34 | 2.40 | 329.62 | 1.50 | 206.01 | 0.20 | 27.47 | 563.10 |
| 7 | D3-0,90\2,20m\2cali ახალი კარების ბლოკების მოწყობა მდფ-ის | კვ/მეტრი | 3.96 | 196.00 | 776.16 | 9.00 | 35.64 | 4.00 | 15.84 | 827.64 |
| 8 | ზეთოვანი საღებავით ხის იატაკზე შეღებვა ორჯერ. | კვ/მეტრი | 34.72 | 3.80 | 131.94 | 1.00 | 34.72 | 0.20 | 6.94 | 173.60 |
| 9 | ხის კარების ბლოკების შეღებვა | კვ/მეტრი | 7.00 | 2.70 | 18.90 | 1.50 | 10.50 | 0.20 | 1.40 | 30.80 |
| | II. დერეფანის რემონტი | | | | | | | | | |
| 10 | შიდა კედლების და ჭერების შეფითხვნა 2 ჯერ გრუნტოვკით. | კვ/მეტრი | 75.00 | 1.70 | 127.50 | 2.50 | 187.50 | 0.50 | 37.50 | 352.50 |
| 11 | კედლების და ჭერების შემზადება შეღებვისთვის | კვ/მეტრი | 75.00 | 0.10 | 7.50 | 1.00 | 75.00 | 0.00 | 0.00 | 82.50 |
| 12 | კედლების და ჭერების შეღებვა წყალემულსიის საღებავით ორჯერ | კვ/მეტრი | 75.00 | 2.40 | 180.00 | 1.50 | 112.50 | 0.20 | 15.00 | 307.50 |
| | ჯამი | | | | 2592.83 | | 1400.56 | | 211.52 | 4204.91 |
| | ზედნადების ხარჯები | 10% | | | | | | | | 420.49 |
| | ჯამი | | | | | | | | | 4625.40 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | | | | | | 370.03 |
| | სულ | | | | | | | | | 4995.43 |

შ.პ.ს "ირემი"-ს დირექტორი ვართან ნორსოიან

საპროექტო

## პირველ სართულის გეგმა +0,00
## მ 1:200




### ფანჯრები და კარები სპეციფიკაცია

| № | -მ- | h=-მ- | რაოდენობა -ც- | სულ -მ2- |
|---|---|---|---|---|
| O1 | 1,60 | 1,90 | 20 | 60,80 |
| D1 | 1,35 | 2,60 | 8 | 28,08 |
| D2 | 0,80 | 2,00 | 2 | 3,20 |

### ექსპლიკაცია

▨ რეაბილიტაცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| D3 | 0,90 | 2,20 | 2 | 3,96 |

| შპს "ორფეო" | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | პირველი სართულის გეგმა | | | | |
| შეასრულა | გიორგი | | მასშტაბი | ფურცელი | ფურცლები |
| | | | მ 1:200 | 3 | 4 |

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *65 08 37 054*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882013609007
მიწის ნაკვეთის ფართობი: *4920* კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
კატეგორია:
მომზადების თარიღი: 12.12.13




| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01/2 | შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა | | ვალდებულება | | ხაზობრივი ნაგებობა |
| | მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | მშენებარე ნაგებობა | UTM | (საერთაშორისო) სისტემის კოორდ. |

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 65.08.37.054**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882015671883 - 25/11/2015 15:55:26** | **01/12/2015 14:31:20** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ნინოწმინდა | სათხა | | |
| **65** | **08** | **37** | **054** |

**მისამართი: რაიონი ნინოწმინდა , სოფელი დიდი არაგიალი**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება

**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო

**დაზუსტებული ფართობი:** 4920.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **65.08.17.216;**

**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** ობიექტი N1(სკოლის შენობა) განაშენიანების ფართი 337.4 კვ.მ. ობიექტი N2(შესავალი) განაშენიანების ფართი 22.5 კვ.მ. ობიექტი N3(სახელოსნო) განაშენიანების ფართი 84.6 კვ.მ. ობიექტი N4(საქვაბე) განაშენიანების ფართი 54 კვ.მ. ობიექტი N5(ტუალეტი) განაშენიანების ფართი 36 კვ.მ.

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 652006000459 , თარიღი 06/10/2006**

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N88 , დამოწმების თარიღი:15/09/2006 , ნინოწმინდის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილება
- მომართვა N16/38225 , დამოწმების თარიღი:09/12/2013 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- ბრძანება N1/2-110 , დამოწმების თარიღი:09/12/2013 , სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

## იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014181332 თარიღი 07/04/2014 15:08:03 | მოსარგებლე: სსიპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი არაქალის სკოლა<br>მესაკუთრე: სახელმწიფო;<br>საგანი:4920 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული შენობა-ნაგებობანი.;<br><br>მიმართვა,რეესტრის ნომერი N16/11702, დამოწმების თარიღი01/04/2014, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/04/2014 | |

## ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge